



№ 15-6/4306
21/04/2022

4306-15-6-2-202204211811



თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

მსჯავრდებულ **[REDACTED]** მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების
მექანიზმის გამოყენების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვასილ,

თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულ **[REDACTED]**
სარჩელს მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს მიერ არ აღმოფხვრილა პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაშვებული ხარვეზები, რასთან დაკავშირებითაც თბილისის საქალაქო სასამართლომ უკვე იმსჯელა, თუმცა, საბჭოს სასამართლოს პოზიცია არ გაუთვალისწინებია.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ **[REDACTED]**
[REDACTED] მიმართ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელების საკითხი. დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთგვაროვანი განმარტება, რამაც შედეგად გამოიწვია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და მსჯავრდებულ **[REDACTED]** უფლებების დარღვევა. შესაბამისად, მსჯავრდებულის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გამოყენებით არსებობს შესაძლებლობა, გამოსწორდეს სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის შედეგები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, მომემართა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი...“¹

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, „ცალკეულ შემთხვევებში შესრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.²

ვსარგებლობ რა მითითებული ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგინებ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი

ა) „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელება

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის განაჩენით, [REDACTED] ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით. მას სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა:

- სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით;
- სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვისთვის) - უვადო თავისუფლების აღკვეთა.

სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ [REDACTED] მოსახდელად დარჩა უვადო თავისუფლების აღგება. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაიწყო 2005 წლის 2 სექტემბრიდან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის განაჩენით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის განჩინებით, დანიშნული სასჯელი არ შეცვლილა.

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 35, პუნ. 1.

² „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით, [REDACTED] მიმართ გავრცელდა 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი „ამნისტიის შესახებ“, თუმცა, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელი დარჩა უცვლელი. სასამართლომ განმარტა, რომ „ვინაიდან [REDACTED] სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, აღნიშნული კანონის გავრცელება [REDACTED] მიმართ დანიშნულ სასჯელზე, ობიექტურად ასახვას ვერ ჰპოვებს“.³

აღნიშნული განჩინება [REDACTED] საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 აპრილის განჩინებით,⁴ ამნისტია გავრცელდა მხოლოდ სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო დანიშნული სასჯელის ნაწილში, ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთის ნაწილში გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით არ არის გათვალისწინებული კანონისმიერი პროცედურა იმ პირების მიმართ, ვისაც დანიშნული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ, [REDACTED] სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ბ) „ამნისტიის შესახებ“ 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს კანონის გავრცელება

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ოდენობით ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეეცვალათ იმ პირებს, ვისაც აღნიშნული სასჯელი დანიშნული ჰქონდათ სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენისათვის.⁵

2021 წლის 8 თებერვალს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, მსჯავრდებულ [REDACTED] მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს კანონის გავრცელების თაობაზე. სასამართლომ [REDACTED] უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით და განუსაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე განჩინებით, სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაიწყო 2005 წლის 2 სექტემბრიდან.⁶

სასამართლომ ასევე განიხილა მსჯავრდებულის მოთხოვნა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე სასჯელის შემცირებასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით, [REDACTED] მიმართ უკვე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლი და იმის გათვალისწინებით, რომ [REDACTED] სასჯელის სახით

³ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის №1257, გვ. 2.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 აპრილის №1061¹-13 განჩინება, გვ. 3.

⁵ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 8 თებერვლის განჩინება №6/982-2021.

დანიშნული ჰქონდა უვალო თავისუფლების აღკვეთა, „აღნიშნული კანონის გავრცელებამ მის მიმართ დანიშნულ სასჯელზე ობიექტური ასახვა ვერ ჰპოვა“.⁷

ამრიგად, სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან [REDACTED] მიმართ უკვე გავრცელებული იყო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი (რომლითაც მისი სასჯელი არ შეცვლილა), სასამართლო ვედარ იმსჯელებდა მის მიმართ ამნისტიის განმეორებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული განჩინება [REDACTED] საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის განჩინებით, მსჯავრდებულის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მიხედვით, ამნისტია არის ერთჯერადი აქტი, რის გამოც ეს ამნისტია მასზე ხელმეორედ ვერ იქნებოდა გამოყენებული.“⁸

გ) ამნისტიის არაერთგვაროვანი გავრცელების პრაქტიკა

სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილია, რომ ანალოგიური საქმის გარემოებებში, საქართველოს საერთო სასამართლოებმა განსხვავებული პრაქტიკა დაადგინა და უვალო მსჯავრდებულზე, რომელსაც სასჯელი ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა, გაავრცელა 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტია და მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელის ვადა შეუმცირა ერთი მეოთხედით.

2013 წლის 16 იანვრის წერილით, თბილისის საქალაქო სასამართლომ უვალო მსჯავრდებულ [REDACTED] აცნობა, რომ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ეხება უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებს.⁹

ანალოგიურად, 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ უვალო მსჯავრდებულის, [REDACTED] მიმართ ნაწილობრივ გაავრცელა „ამნისტიის შესახებ“ კანონი და აღნიშნა, რომ ვინაიდან მსჯავრდებულს დანიშნული აქვს უვალო თავისუფლების აღკვეთა, კანონი [REDACTED] მიმართ დანიშნულ სასჯელზე ვერ გავრცელდებოდა.¹⁰

აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის 2013 წლის 25 მარტის განჩინებით, მსჯავრდებულის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულ [REDACTED] ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი - უვალო თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს კვლავ უვალო თავისუფლების აღკვეთა.¹¹

2014 წლის 11 ივლისის განაჩენით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულებს, [REDACTED] და [REDACTED]

⁷ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 8 თებერვლის განჩინება №6/982-2021, გვ. 3-4.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის №2841-21 განჩინება, გვ. 3.

⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის №353/324 წერილი.

¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 თებერვლის №7931/8928 განჩინება, გვ. 4.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის №7691-13 განჩინება.

შეუცვალა დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით - 20 წლით თავისუფლების აღკვეთით.

ამავე განაჩენით, სასამართლომ მსჯავრდებულების მიმართ გაავრცელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი. შედეგად, მსჯავრდებულებს მათთვის დანიშნული 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდათ ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

ამრიგად, [REDACTED] და [REDACTED] საქმეში, საერთო სასამართლოებმა გამოიყენეს 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტია მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულებისთვის დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეიცვალა. [REDACTED] შემთხვევაში კი საერთო სასამართლოებმა არ გამოიყენეს 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტია მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულისთვის დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეიცვალა.

საგულისხმოა, რომ როგორც [REDACTED] ისე - [REDACTED] შემთხვევაში, სასამართლოებმა 2013 წელს მიუთითეს, რომ მათზე, როგორც უვადო მსჯავრდებულებზე, ამნისტია გავრცელდა და შეუმცირდათ დანიშნული სასჯელი (უვადო თავისუფლების აღკვეთა) ერთი მეოთხედით, თუმცა, აღნიშნული საბოლოოდ დანიშნულ სასჯელზე ვერ აისახა. [REDACTED] და [REDACTED] მიმართ არსებული გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის შემდგომ, სასამართლომ გამოიყენა 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“.¹² თუმცა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, [REDACTED] უარი ეთქვა უვადო თავისუფლების აღკვეთის ვადიანი თავისუფლებით აღკვეთით შეცვლის შემდგომ მის მიმართ ამავე კანონის გავრცელებაზე.

შესაბამისად, არათუ სისტემური და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდებით, არამედ გრამატიკული განმარტების მეთოდებითაც კი აუხსნელია, თუ რატომ არ უნდა გავრცელდეს [REDACTED] 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტია, თუ იგი გავრცელდა სხვა მსჯავრდებულებზე, რომლებსაც 2012 წლის 28 დეკემბრის შემდეგ შეეცვალათ სასჯელი და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა დაენიშნათ. მსგავსი არაერთგვაროვანი პრაქტიკის გამო არსებითად დაზიანდა [REDACTED] სამართლებრივი ინტერესი.

საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოიყენებდა ერთგვაროვან მიდგომას და დააკმაყოფილებდა [REDACTED] მოთხოვნას „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გავრცელებაზე, [REDACTED] სასჯელის მოხდისგან 2021 წლის 8 თებერვალს გათავისუფლდებოდა.

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი

¹² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ივლისის №1/ა.გ - 3734-13 განაჩენი.

სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში განხილულია მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმისწარმოების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა სახის პრობლემა, მათ შორის, გადაწყვეტილებების არასაკმარისი დასაბუთება, გადაწყვეტილებების არაერთგვაროვანი ხასიათი, დანაშაული ბუნების და სასჯელის დარჩენილი მცირე ვადის გავლენა პროცესზე, დისციპლინური გადაცდომის გავლენა გადაწყვეტილებაზე, არსებითი ხასიათის უზუსტობები, ანალოგიურ საქმეებზე ზეპირი მოსმენით და ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას არსებითად განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება.¹³

მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა არ წარმოადგენს მსჯავრდებულის ძირითად კონსტიტუციურ უფლებას, იგი არის მნიშვნელოვანი კანონისმიერი შესაძლებლობა, რათა მსჯავრდებულს ჰქონდეს მოტივაცია, მსჯავრდების შემდგომ პერიოდში, სრულად იყოს ორიენტირებული რესოციალიზაციის პროცესზე და შედეგად ჰქონდეს ამ მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის იმედი.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმზე, როგორც აუცილებელ და საჭირო ინსტრუმენტზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უვადოდ თავისუფლებადკვეთილი პირების კონტექსტში და განმარტა, რომ სახელმწიფომ უნდა მისცეს მსჯავრდებულებს რეაბილიტაციის შესაძლებლობა და შედეგის მიღწევის შემთხვევაში - გათავისუფლების პერსპექტივა. აღნიშნული გამომდინარეობს კონვენციის სისტემიდან, რომლის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია ადამიანის ღირსების პატივისცემა.¹⁴

სამწუხაროდ, ზემოხსენებული პრობლემები გამოვლინდა ადგილობრივი საბჭოს მიერ [REDACTED] პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის პროცესშიც.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით, [REDACTED] უარი ეთქვა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე.¹⁵

აღნიშნული გადაწყვეტილება მსჯავრდებულმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების ბათილობა და მოპასუხე მხარისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

2021 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის სარჩელი, ბათილად ცნო გადაწყვეტილება

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში "პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში", 2020, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3JP3VcS> > [ბოლოს ნანახია: 15.04.2022].

¹⁴ MATIOSAITIS AND OTHERS V. LITHUANIA, 23.05.2017, პარ. 181; VINTER AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, 09.07.2013, პარ. 120-122

¹⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის პირველი აპრილის №01/21-0189 გადაწყვეტილება.

და ადგილობრივ საბჭოს დაავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა [REDACTED] პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობასთან დაკავშირებით.¹⁶

სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველად მიუთითა ის, რომ:

- ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების დროს არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე;
- არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და მსჯავრდებულს არ ჰქონია მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;
- ადმინისტრაციულ ორგანოს ყურადღება არ მიუქცევია მსჯავრდებულის მიერ დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევის დინამიკაზე და მის დღევანდელ დამოკიდებულებაზე ჩადენილი დანაშაულის ხასიათთან.¹⁷

2022 წლის პირველ თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოს პირველმა ადგილობრივმა საბჭომ ხელახლა განიხილა მსჯავრდებულ [REDACTED] პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი, თუმცა, კვლავ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.¹⁸

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი საბჭოს ახალ გადაწყვეტილებაში არც ერთი ის საკითხი არ არის გათვალისწინებული, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს წინარე გადაწყვეტილების საფუძველი გახდა. საბჭომ არ გაითვალისწინა სასამართლოს შენიშვნები საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასებასთან დაკავშირებით, მაგალითისთვის:

- ადგილობრივმა საბჭომ თავის გადაწყვეტილებაში კვლავ მიუთითა მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის გამოყენების ფაქტი, რომელიც სასამართლოში გასაჩივრების შედეგად ბათილად იქნა ცნობილი;
- ადგილობრივმა საბჭომ მიუთითა მსჯავრდებულის გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ;
- ასევე, მიუხედავად სასამართლოს მითითებისა, ადგილობრივმა საბჭომ არ გამოიყენა ზეპირი მოსმენის და შეკითხვების უშუალოდ მსჯავრდებულისათვის დასმის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მითითებულია არაერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ, ანალოგიურ ვითარებაში, არამხოლოდ ბათილად სცნო საბჭოს გადაწყვეტილება, არამედ, პირდაპირ დაავალა მას, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. სასამართლო უთითებდა, რომ „დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

¹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება №3/2865-21.

¹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება №3/2865-21, გვ. 12.

¹⁸ აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის პირველი თებერვლის №01/22-0027 გადაწყვეტილება.

გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა”.¹⁹ სასამართლომ ამ გადაწყვეტილებებში განმარტა, რომ საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს სამართლებრივად შეზღუდულ თავისუფლებას, ხოლო თუ სახეზე არის მოცემულობა, რომელიც ადასტურებს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევა მსჯავრდებულის გათავისუფლებას. წინამდებარე შემთხვევაში კი ამკარაა, რომ აღნიშნული საკითხის შეფასების ადგილობრივი საბჭოსთვის დავალება ფუჭია, რადგან საბჭომ უკვე არ იხელმძღვანელა სასამართლოს მიერ მისთვის მიცემული მითითებით.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ამჟამად, მოცემული საქმის განხილვის ფარგლებში, გააჩნია შესაძლებლობა, მიიღოს გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 01 თებერვლის №01/22-0027 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.²⁰ ამ გზით, სასამართლო არა მხოლოდ მიიღებდა ადეკვატურ ზომას საბჭოს მიმართ, რომელმაც არ გაითვალისწინა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ ასევე გამოასწორებდა საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკის შედეგად [REDACTED] დარღვეულ სამართლებრივ ინტერესს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, [REDACTED] მიმართ საერთო სასამართლოების მიერ გამოყენებული არაერთგვაროვანი პრაქტიკის გამო, მასზე დღემდე არ გავრცელებულა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რა შემთხვევაშიც, [REDACTED] სასჯელის მოხდას 2021 წლის 8 თებერვალს დაასრულებდა.

ამასთანავე, 2021 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა აღმოსავლეთ საქართველოს პირველ ადგილობრივ საბჭოს, რომ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის შეფასება არაჯეროვნად იყო განხორციელებული. სასამართლომ მიუთითა კონკრეტული გარემოებები, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებინა საბჭოს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ადგილობრივმა საბჭომ საკითხის ხელახალი განხილვისას სასამართლოს შენიშვნები და მითითებები საერთოდ არ გაითვალისწინა, რაც ქმნის საფუძველს მოლოდინისათვის, რომ ადგილობრივი საბჭოსთვის საქმის ხელახალი განხილვის მიზნით დაბრუნების

¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/5188-18 საქმეზე. მსგავსი საქმეებისთვის შდრ. იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში “პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში”, 2020, 47-48, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3IP3VcS> > [ბოლოს ნანახია: 15.04.2022].

²⁰ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 27¹, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

შემთხვევაში, კვლავ არ იქნება გათვალისწინებული სასამართლოს მიერ გამოთქმული შენიშვნები საკითხის განხილვის პროცესში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ.

ვიმედოვნებ, თბილისის საქალაქო სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს ზემოხსენებულ გარემოებებზე, ვინაიდან ხსენებული საკითხის გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს მსჯავრდებულის უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე და, ასევე, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის პროცესში სასამართლოს, როგორც ხსენებული მექანიზმის ზედამხედველი ინსტიტუტის მიმართ, ნდობის ამაღლებაზე.

გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით. გამოვთქვამთ მზადყოფნას [REDACTED] საჩივრის განხილვის სხდომაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

